ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის დადგენილება, 27.01.2015

დებულება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრონული პრეპრინტების გამოცემის შესახებ

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად დაფუძნდეს ელექტრონული პრეპრინტების (e-print) სერია "FENS".
2. "FENS" წარმოადგენს ფაკულტეტის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების ღია წვდომის არქივს.
3. ელექტრონული პრეპრინტის გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოხსენება გაკეთებულია ფაკულტეტის რომელიმე დეპარტამენტის სემინარზე ან ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე.
4. გამოქვეყნებაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია ფაკულტეტის პერსონალს და სტუდენტებს, ასევე სხვა სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვინც აკმაყოფილებს პუნქტ 3-ს.
5. ნაშრომის გამოსაქვეყნებლად ავტორ(ებ)მა უნდა მიმართოს დარგობრივ სარედაქციო კოლეგიას ამ დებულების დანართი 1 და დანართი 2-ის შესაბამისი განაცხადით.
6. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია
   - იღებს განაცხადს (დანართი1) ნაშრომის გამოქვეყნების თაობაზე ;
   - ამოწმებს ნაშრომის შესაბამისობას შაბლონთან (დანართი 2);
   - ახორციელებს ნაშრომის სკრინინგს და იძლევა რეკომენდაციას გამოქვეყნების თაობაზე თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი 3);
   - წარუდგენს დასკვნას ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიას.
7. ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგია დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გამოქვეყნების შესახებ.
8. ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის დადებითი გადაწყვეტილებიდან ერთი კვირის ვადაში ფაკულტეტის დარგობრივი სარედაქციო კოლეგია უზრუნველყოფს ნაშრომის გამოქვეყნებას - არქივში განთავსებას.